



## ბორისპოლისა და ბროვარის მიტროპოლიტი ანტონი: მართლმადიდებლობა დიდი განხეთქილების ზღვარზეა უკრაინაში არსებული ვითარების გამო



*მართლმადიდებლობა დიდი განხეთქილების ზღვარზეა უკრაინაში არსებული ვითარების გამო, – მიიჩნევს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა მმართველი ბორისპოლისა და ბროვარის მიტროპოლიტი ანტონი.*

იერარქის კომენტარი გამოაქვეყნა არხმა **«Перший Козацький»**, – იუნყება მართლმადიდებელი ჟურნალისტების კავშირი.

«მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესია დიდი კრიზისის წინაშეა, – განაცხადა მიტროპოლიტმა ანტონიმ, – განმარტა რა კიევის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის – „ეკლესიის კრებსითობა: თეოლოგიური, კანონიკური და ისტორიული განზომილებანი“ – ამოცანები. და დღეს ჩვენ შეგვიძლია ლიად განვაცხადოთ, რომ ეკლესია დიდი განხეთქილების ზღვარზეა

უკრაინაში არსებული ვითარების გამო იმ უმართებულო, ანტიკანონიკური მოქმედებების შედეგად, რომლებიც პატრიარქმა ბართლომეოსმა განახორციელა განდგომილთა მიმართებით. ამიტომ მართლმადიდებელი ეკლესია გამოსავლის ძიებაშია, რომ ამ ზღვარის გადაკვეთა არ მოხდეს, რომ არ დაფუძვან დიდი განხეთქილება“.

ეკლესია თავის ისტორიაში ეძებს პასუხებს, – განმარტა იერარქმა.

მან აღნიშნა, რომ კიევში ჩატარებულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში თერთმეტი ადგილობრივი ეკლესიის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. ფორუმზე წარმოდგენილი მოხსენებები ისტორიულ ანალიზს ეძღვნებოდა: რა პრეცედენტები არსებობს ისტორიაში განხეთქილებების მიმართ, როგორ მიიღებოდნენ განდგომილები მართლმადიდებელ ეკლესიაში ევქარისტიაზე ურთიერთობაში; განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო კანონიკური საფუძვლები, რომლებიც ეკლესიის ფუნდამენტს წარმოადგენს და რომლებიც დაარღვია კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ბართლომეოსმა, – მისცა რა უკრაინელ განდგომილებს ეგრეთ წოდებული „ტომოსი“.

*სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური*